16/06/2019

პატრიარქის ქადაგება

მართლმადიდებელი ეკლესია სულთმოფენობას, სულიწმინდის გადმოსვლის დღეს აღნიშნავს. დღესასწაულთან დაკავშირებით დილიდან ყველა მოქმედ ტაძარში საზეიმო წირვა აღევლინება. ეს ერთ-ერთია 12 საუფლო დღესასწაულს შორის და აღდგომიდან 50-ე დღეს აღინიშნება.

სამების საკათედრო ტაძარში მსახურებას ილია მეორე უძღვებოდა. წირვის დასრულების შემდეგ ილია მეორემ მრევლს ქადაგებით მიმართა. მისმა უწმინდესობამ დღევანდელი დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ილია მეორე ამბობს, რომ კაცობრიობა მრავალი სირთულის წინაშე დგას და ამ საკითხების მოგვარების პროცესში სულიერების შენარჩუნება ყველაზე მთავარია. კათოლიკოს-პატრიარქმა დღეს აბიტურიენტებიც დალოცა.

https://www.orthodoxianewsagency.gr/wp-content/uploads/2019/06/ilia-meore.mp4

– 1tv